არდაჰანის უნივერსიტეტი
უცხოელ სტუდენტთა განაცხადის, მიღების და ჩარიცხვის წესები

აბიტურიენტების საყურადღებოდ:
როგორც თურქეთის ფარგლებში, ასევე უცხოეთიდან აბიტურიენტებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ არდაჰანის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე (www.ardahan.edu.tr) განთავსებულ ÜBYS Menü Uluslararası Öğrenci Başvurusu / ÜBYS მენიუ საერთაშორისო სტუდენტთა განაცხადის ბმულის საშუალებით. განაცხადის ვადის გასვლის შემდეგ საბუთები აღარ მიიღება.
1) აბიტურიენტები განაცხადებენ საშუალო განათლების დიპლომის ქულების მიხედვით.
2) ასევე სურვილის შემთხვევაში აბიტურიენტებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი უნივერსიტეტის მიერ მიღებულ 2024 და 2025 წლების TR-YÖS უცხოელ სტუდენტთა გამოცდის ქულებით. აბიტურიენტებისთვის, რომლებსაც თავიანთ განაცხადში, სურთ გამოიყენონ TR-YÖS ქულები, განლაგების ქულა გამოითვლება საშუალო განათლების დიპლომის 60% და TR-YÖS ქულის 40%-ის აღებით.
3) უცხო ქვეყნების მოქალაქე აბიტურიენტებმა, რომლებიც განაცხადებენ 2024 და 2025 TR-YÖS ქულებით, შესაბამისი გამოცდიდან უნდა მიიღონ მინიმუმ 200 ქულა.

უცხოელი სტუდენტებისთვის, რომლებიც განაცხადებენ ჩვენს უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წელს, საორიენტაციო ტრენინგი სავალდებულოა და ფასიანია. უცხოელი სტუდენტობის კანდიდატების საორიენტაციო ტრენინგი ღირს 50 აშშ დოლარი ანუ 2000 თურქული ლირა. უცხოელი სტუდენტობის კანდიდატებს საშუალება ექნებათ ნახონ საორიენტაციო ვიდეო საერთაშორისო სტუდენტური განაცხადის ეკრანზე, საორიენტაციო ტრენინგის საფასურის გადახდის შემდეგ. უცხოელი სტუდენტობის კანდიდატებს საშუალება ექნებათ განაცხადონ საორიენტაციო ვიდეოს ნახვის შემდეგ.
განაცხადის საფასური: 2000 თურქული ლირა. ანგარიში: თურქული ლირა. Ö.K. ORYANTASYON HES. Ziraat Bankası / 149 Ardahan Şubesi; IBAN: TR450001000149964750445035
განაცხადის საფასური: 50 USD. ანგარიში: აშშ დოლარი ULUSLARARASI ÖĞRENCİ; ბანკი: Türkiye Halk Bankası A. Ş. / 678 Ardahan Şubesi; IBAN: TR780001200967800058000149

უცხოელი სტუდენტებისთვის მისაღები საერთაშორისო გამოცდები:
- ÖSYM (გაზომვის, შერჩევისა და განთავსების ცენტრის) მიერ ჩატარებული გამოცდა, 2024 და 2025 TR-YÖS.
- SAT 1 გამოცდის აუცილებელი პირობაა არა ნაკლებ 1100 ქულის მიღება და აქედან მინიმუმ 600 ქულის მიღება მათემატიკაში.
- GCE (A level) გამოცდის აუცილებელი პირობაა არჩეული პროგრამის ფარგლებში მინიმუმ 3 საკითხში A შეფასების მიღება.
- ACT გამოცდის აუცილებელი პირობაა მათემატიკაში (Math) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (Science Reasoning) და სულ (Composite) მინიმუმ 24 ქულის მიღება.
- საერთაშორისო საბაკალავრო დიპლომის მქონეთა დიპლომის ქულა უნდა იყოს არანაკლებ 30 ქულისა.
- ABITUR-ის დონე მაქსიმუმ 3, Matura-ს დონე მაქსიმუმ 3.
- ფრანგული საბაკალავრო დიპლომის ქულა არანაკლებ 12.
- თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული განათლების სამინისტროს მიერ 2025 წელს ორგანიზებული თურქული ენის ცოდნის გამოცდა.

აბიტურიენტები:

(a) უნდა იყოს ლიცეუმის ბოლო კლასის მოსწავლე ან კურსდამთავრებული

1) უცხო ქვეყნის მოქალაქეები

2) თურქეთის რესპუბლიკაში დაბადებული, მაგრამ თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვით თურქეთის მოქალაქეობიდან გასული მოქალაქეების არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც თურქეთის მოქალაქეობის კანონის შესაბამისად ოფიციალურად არიან გათანაბრებული თურქეთში მოქმედ კანონებთან.

3) ყოფილი უცხოელ მოქალაქეები, რომლებმაც შემდეგ მიიღეს თურქეთის მოქლაქეობა / ან ორმაგი მოქალაქეობის მქონენი.

4) თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებმაც, გარდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკისა, მიიღეს განათლება რომელიმე სხვა ქვეყანაში (ამ სტატუსს ექვემდებარებიან ის აბიტურიენტებიც, რომლებმაც, გარდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკისა, განათლება მიიღეს რომელიმე სხვა ქვეყანაში მოქმედ თურქულენოვან სკოლაში).

5) ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის (KKTC) მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ KKTC-ში, აქვე მიიღეს ზოგადი განათლება და ჩააბარეს GCE AL (The General Certificate of Education – Advanced Level) გამოცდა და მიღებული აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი, ან 2005–2010 წლებში სწავლობდნენ უცხოეთის საჯარო სკოლებსა და კოლეჯებში და ჩაბარებული აქვთ GCE AL გამოცდა, ან ჩააბარეს გამოცდა და სერთიფიკატის მიღებამდე აქვთ ცნობა გამოცდის ჩაბარების შესახებ.

b) განხილვას არ ექვემდებარება შემდეგი აბიტურიენტების დოკუმენტაცია:

1) თურქეთის მოქალაქე აბიტურიენტის დოკუმენტაცია, რომელმაც ზოგადი განათლება მიიღეს თურქეთში და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში

2) ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის (KKTC) მოქალაქეები (გარდა KKTC-ის იმ მოქალაქეებისა, რომლებმაც ზოგადი განათლება მიიღეს KKTC-ში და ჩაბარებული აქვთ GCE AL გამოცდა და მიღებული აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი, ან 2005-2010 წლებში სწავლობდნენ უცხოეთის საჯარო სკოლებსა და კოლეჯებში და ჩაბარებული აქვთ GCE AL გამოცდა, ან ჩააბარეს გამოცდა და სერთიფიკატის მიღებამდე აქვთ ცნობა გამოცდის ჩაბარების შესახებ).

3) ამ მუხლის მეორე (ა) პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად პირველი მოქალაქეობით თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, შემდეგ უკვე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი (ამის გარდა, ვინც ზოგადი განათლება მიიღო ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის (KKTC) გარეთ რომელიმე სხვა ქვეყანაში / განათლება მიიღეს ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის გარეთ რომელიმე სხვა ქვეყანაში მოქმედ თურქულენოვან სკოლებში)

4) ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის, რომლის ერთ-ერთი მოქალაქეობა არის ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის (KKTC) (გარდა KKTC-ის იმ მოქალაქეებისა, რომლებმაც ზოგადი განათლება მიიღეს KKTC-ში და ჩაბარებული აქვთ GCE AL გამოცდა და მიღებული აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი, ან 2005-2010 წლებში სწავლობდნენ უცხოეთის საჯარო სკოლებსა და კოლეჯებში და ჩაბარებული აქვთ GCE AL გამოცდა ან ჩააბარეს გამოცდა და სერთიფიკატის მიღებამდე აქვთ ცნობა გამოცდის ჩაბარების შესახებ).

5) თურქეთის იმ მოქალაქეების, რომელთაც ზოგადი განათლება მიღებული აქვთ თურქეთის რესპუბლიკაში მოქმედ საელჩოებთან არსებულ სკოლებში, ან თურქეთის რესპუბლიკაში მოქმედ უცხოენოვან სკოლებში; ან ამ წესის მეორე მუხლის (a) პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად პირველი მოქალაქეობით თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეა, შემდეგ უკვე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი.

აბიტურიენტთა განლაგება ხდება საშუალო განათლების დიპლომის ქულების მიხედვით. აბიტურიენტების მოთხოვნის შემთხვევაში, მათი განაცხადები ასევე მიიღება უცხოელ სტუდენტთა გამოცდის (TR-YÖS) ქულით, დიპლომის ქულების 60% და TR-YÖS ქულების 40% გამოითვლება და განლაგდება მიღებული ქულით.

აბიტურიენტები, რომლებიც არ მიიღებენ მინიმალურ ქულას თურქულის ცოდნის გამოცდაზე და აბიტურიენტებს, რომლებსაც არ აქვთ თურქული ენის ცოდნის სერთიფიკატი თურქეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, მიიღებენ 1 წლიან სავალდებულო თურქული ენის მოსამზადებელ კურსებს TÖMER (თურქულის შემსწავლელის ცენტრი) მიერ ჩვენს უნივერსიტეტში. ვისაც არ აქვს თურქული ენის ცოდნა, TÖMER-ში იმ აბიტურიენტების რეგისტრაცია ჩატარდება 10.10.2025 თარიღამდე. თუ ისინი მიიღებენ C1-C2 TÖMER სერთიფიკატს, საბოლოოდ დარეგისტრირდებიან უნივერსიტეტში მომდევნო სასწავლო წლიდან.

თურქეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან თურქულის ცოდნის სერტიფიკატის მქონე აბიტურიენტებს არ სჭირდებათ არდაჰანის უნივერსიტეტის თურქული ენის ცოდნის გამოცდის ჩაბარება.

თურქული ენის ტესტის ქულა არ იქნება გათვალისწინებული განლაგებისას.

თურქული ენის ცოდნის საკვალიფიკაციო დონეები:

a) C1 და C2 დონე: თურქული ენის ცოდნის დონე არის საკმარისი, უფლება ეძლევა დარეგისტრირდეს არჩეულ პროგრამაზე.

b) B1 და B2 დონე: თურქული ენის ცოდნის დონე არ არის საკმარისი. თუმცა, მოკლე დროში შესაძლებელია განავითაროს. უფლება ეძლევა დარეგისტრირდეს არჩეულ პროგრამაზე თურქულ ენაში შესაბამისი კურსის გავლის პირობით. სტუდენტი ვალდებულია არა უგვიანეს მესამე სასწავლო წლის დასაწყისამდე ფლობდეს C1-C2 დონეებს, რაც უნდა დადასტურდეს დოკუმენტალურად. იმ შემთხვევაში, თუ მათი დონე კვლავ დარჩება B1-B2 დონეზე, არ მიეცემათ უფლება გააგრძელონ სწავლა მანამ, სანამ არ მიაღწევენ C1-C2 დონეებს.

c) A1 და A2 დონე: თურქული ენის ცოდნის დონე არ არის საკმარისი. ამ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია არა უგვიანეს მესამე სასწავლო წლის დასაწყისამდე ფლობდეს C1-C2 დონეებს, რაც უნდა დადასტურდეს დოკუმენტალურად. სტუდენტი, რომელიც მიაღწევს C1-C2 დონეებს, მათზე იმოქმედებს a მუხლი. ხოლო, სტუდენტი რომელიც მიაღწევს B1-B2 დონეებს, მათზე იმოქმედებს b მუხლი.

თურქული ენის ცოდნის დონეები და ქულების ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

თურქული ენის საკვალიფიკაციო დონეები	ქულათა ინტერვალები	ახსნა განმარტებები
C2	90 – 100	საკმარისად ფლობს თურქულს
C1	80 – 89	საკმარისად ფლობს თურქულს
B2	65 – 79	მოკლე ვადაში მიაღწევს თურქულის საკმარისად ფლობის დონეს
B1	50 – 64	მოკლე ვადაში მიაღწევს თურქულის საკმარისად ფლობის დონეს
A2	25 – 49	არა საკმარისად ფლობს თურქულს
A1	0 – 24	არა საკმარისად ფლობს თურქულს

თურქული ენის ცოდნის გამოცდის შინაარსი:
თურქული ენის საკვალიფიკაციო გამოცდა განხორციელდება არდაჰანის უნივარსიტეტში TÖMER-ის (თურქული ენის შემსწავლელი ცენტრის) მიერ 16.09.2025 წ. 10:00 ს. ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტის A1 კლასში (აუდიტორიაში).
თურქული ენის ცოდნის გამოცდა ჩატარდება ოთხ ეტაპად: კითხვა-წერა-მოსმენა-საუბარი.
დონის განსაზღვრისა და გათავისუფლების გამოცდისთვის, რომელიც ჩატარდება თურქული ენის შემსწავლელის ცენტრის მიერ 16.09.2025 წ., სტუდენტებმა უნდა შეიტანონ 1200 თურქული ლირა ქვემოთ მოცემულ IBAN ანგარიშზე და წარადგინონ ქვითრები თურქულის შემსწავლელის ცენტრს პირადად ან ელექტრონული ფოსტით გამოცდამდე.
გამოცდის მისამართი: არდაჰანის უნივერსიტეტის ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ფაკულტეტის A1 აუდიტორია, იენისეიის კამპუსი / არდაჰანი. დრო: 10:00
ბანკი: T.C. Halkbank A.Ş. 678 / არდაჰანის ფილიალი, IBAN ნომერი: TR430001200967800005000007 6, გამოცდის ღირებულება: 1200 თურქული ლირა

თურქეთში უცხოელ სტუდენტისთვის აუცილებელი პროცედურები:
- უცხოეთში შესასრულებელი პროცედურები (საპასპორტო)
- თურქეთში ჩასვლის შემდეგ შესასრულებელი პროცედურები (ბინადრობის)
- ბინადრობის უფლების შემდეგ შესასრულებელი პროცედურები (დეკლარირების)

უცხოეთში შესასრულებელი პროცედურები (საპასპორტო პროცედურები):
უცხოელ აბიტურიენტებს, რომლებიც ჩაირიცხებიან ჩვენს უნივერსიტეტში, სტუდენტებს მისამართებზე დაეგზავნებათ საინფორმაციო წერილი ჩარიცხვის შესახებ. ამ წერილის საფუძველზე მათ უნდა მიმართონ თავიანთი ქვეყნის შესაბამის ორგანოებს, საპასპორტო პროცედურების მოგვარების მიზნით.
ჩარიცხული სტუდენტები თურქეთის რესპუბლიკაში ვალდებულნი არიან წარმოადგინონ საბუთი სწავლის პერიოდში მათი მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ (საბანკო ანგარიში, სტიპენდია და ა.შ.).
საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოთხოვნილ იქნას დამატებითი საბუთები.

თურქეთში ჩამოსვლის შემდეგ გასავლელი პროცედურები (ბინადრობის პროცედურები):
სტუდენტებმა, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, უნდა მიმართონ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს და დაასრულონ უნივერსიტეტში რეგისტრაცია თურქეთში შემოსვლის დღიდან 30 დღის განმავლობაში.
ბინადრობის ნებართვის მისაღებად უნივერსიტეტში დარეგისტრირებულმა სტუდენტებმა რეგისტრაციის პროცესიდან 15 დღის ვადაში სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს სრულად უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები.

ბინადრობის მოწმობის მისაღებად:
- ბინადრობის ნებართვის რეგისტრაციის განაცხადის ფორმა (სტუდენტის მიერ ხელმოწერილი)
- პასპორტი ან დოკუმენტი პასპორტის ნაცვლად (ორიგინალი ასლი)
- ცნობა სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ
- 4 ბიომეტრიული ფოტო
- მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა (ზოგადი ჯანმრთელობის დაზღვევა უზრუნ-ველყოფილია სოციალური დაცვის დაწესებულების მიერ)

- დოკუმენტი, სადაც მითითებულია მისამართის ინფორმაცია, სადაც ის დარჩება (თუ ის საკუთარ სახლში რჩება, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფოტო ასლი; გაფართოების განაცხადებისთვის საკმარისია "ადგილმდებარეობის მოწმობა და ინვოისი") (თუ ის რჩება ქირავნობის ხელშეკრულებით, ქირავნობის ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმებული ასლი) (თუ ის იმყოფება სასტუმროში და ა.შ., დოკუმენტი, რომ ის ცხოვრობდა ამ ადგილებში) (თუ სტუდენტი რჩება საერთო საცხოვრებელში, დოკუმენტი, რომ ის ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში) (თუ რჩება სპონსორთან, მასთან მყოფი პირის ნოტარიულად დამოწმებული ვალდებულება) (თუ სპონსორი დაქორწინებულია, მისი მეუღლის ნოტარიულად დამოწმებული ვალდებულებაც)
- ბინადრობის ნებართვის დოკუმენტის საფასურის გადახდის ქვითარი (გადახდილი იქნება არდაჰანის მხარის საგადასახადო დეპარტამენტში)
- 18 წლამდე უცხოელებისთვის; მშობლის / მეურვის იდენტიფიკაციის დოკუმენტი (დაბადების მოწმობა, საოჯახო დოკუმენტი და ა.შ.) და მშობლის / მეურვის / კანონიერი წარმომადგენლის მიერ გაცემული დამადასტურებელი წერილი (მათთვის, ვინც ჩამოდის ვიზაზე (სასწავლო ვიზა). ვიზებით ჩამოსული პირები სხვა მიზნით, გარდა ვიზისა; დამხმარე წერილი და დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მშობლის / მეურვის ინფორმაციას არ დაერთვება)
შენიშვნა: უცხოელ სტუდენტების მიერ ბინადრობის ნებართვისთვის მომზადებული დოკუმენტები სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტში წარდგენის დღიდან 15 დღის განმავლობაში გაეგზავნება რეგიონის საემიგრაციო სამსახურს.

ბინადრობის ნებართვის მიღების შემდეგ (შეტყობინებების პროცესი):
ა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აცნობებენ პროვინციული მიგრაციის სამსახურის დირექტორატს სტუდენტების სარეგისტრაციო სტატუსის ცვლილების შესახებ (რეგისტრაციის გაუქმება, რეგისტრაციის გაყინვა, შვებულება და ა.შ.) ცვლილების დღიდან 20 დღის ვადაში.
ბ. ბინადრობის მოწმობაში წაშლისა და გასწორების, ბინადრობის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში აუცილებელია სასწრაფოდ მიმართონ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს და მოითხოვოთ დუბლიკატი.
გ. უცხოელმა სტუდენტებმა, რომელთა საუნივერსიტეტო რეგისტრაცია დასრულებულია, უნდა მიმართონ მხარის სოციალური დაცვის ოფისს თავიანთი სტუდენტური დოკუმენტებით და გაიარონ ჯანმრთელობის ზოგადი დაზღვევა.

საბოლოო რეგისტრირების ვადა:
- უცხოელ სტუდენტებს, რომელთა საბოლოო რეგისტრაცია ჩვენს უნივერსიტეტში დასრულდება, ეძლევათ სტუდენტური ცნობა.
- უცხოელი სტუდენტების პირადი საქმეები, რომელთა საბოლოო რეგისტრაცია დასრულდება, იგზავნება შესაბამისი დანაყოფის სტუდენტურ საქმეთა განყოფილებაში.
- საბოლოო რეგისტრაციის შემდეგ უცხოელ სტუდენტების მიერ ბინადრობის მოწმობისთვის მომზადებული დოკუმენტები გადაეცემა მხარის მიგრაციის სამსახურს დოკუმენტის წარდგენიდან 15 დღის ვადაში.

უცხოელი სტუდენტთა რეგისტრირებისთვის საჭირო დოკუმენტაცია:
- ზოგადი განათლების დიპლომის (დედანი) და თავიანთ ქვეყანაში აკრედიტებული თურქეთის საელჩოს ან საკონსულოს მიერ თურქულ ენაზე თარგმნილი დამოწმებული ასლი.

- ქულათა საბუთის დედანი და ქვეყანაში აკრედიტებული თურქეთის საელჩოს, ან საკონსულოს მიერ თურქულ ენაზე თარგმნილი დამოწმებული ასლი.
- ოფიციალური პირადობის მოწმობის ან პასპორტის სათანადო გვერდის, სადაც განთავსებულია ინფორმაცია პიროვნების შესახებ, თურქულ ენაზე თარგმანი დამოწმებული ქვეყანაში აკრედიტებული თურქეთის საელჩოს ან საკონსულოს მიერ.
- კანდიდატებს შეუძლებათ განაცხადონ 2024 და 2025 წლების TR-YÖS უცხოელი სტუდენტების გამოცდის შედეგების საბუთებით (არანაკლებ 200 ქულა უნდა იყოს მიღებული შესაბამისი გამოცდიდან).
- შეტანილი საგამოცდო თანხის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (მოითხოვება რეგისტრაციის გავლისას).
- საერთაშორისო სტატუსის მქონე უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი ან თურქული ენის საკვალიფიკაციო დამადასტურებელი სერტიფიკატი, დამოწმებული მის ქვეყანაში აკრედიტებული თურქეთის საელჩოს ან საკონსულოს მიერ (მოეთხოვება ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 5 ცალი ფოტოსურათი 3x4.
- T.C. საიდენტიფიკაციო ნომერი (რეგისტრაცია ხდება დროებითი T.C. საიდენტიფიკაციო ნომრით. ბინადრობის მოწმობის მიღების შემდეგ რეალური T.C. ID ნომერი მუშავდება სისტემაში).
- ჯანმრთელობის ზოგადი დაზღვევა (მიიღება მხარის სოციალური დაცვის სამსახურიდან).
- საბანკო ამონაწერი, რომელიც აჩვენებს, რომ კანდიდატებმა გადაიხადეს განაცხადის საფასური. რეგისტრაციისას იგი წარმოდგენილი იქნება როგორც ფიზიკური დოკუმენტი.

შენიშვნა: როგორც თურქეთის ფარგლებში, ასევე უცხოეთიდან აბიტურიენტებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ არდაჰანის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.ardahan.edu.tr) განთავსებული ÜBYS Menü Uluslararası Öğrenci Başvurusu (საერთაშორისო სტუდენტთა განაცხადის) ბმულის საშუალებით.

განაცხადის ვადის გასვლის შემდეგ საბუთები აღარ მიიღება.

საკონტაქტო მონაცემები: არდაჰანის უნივერსიტეტის რექტორატი სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, ტელეფონი: 0478 211 75 75, შიდა ნომერი 1286.